

კეთილდღეობის შეფასების მაჩვენებლები მერქეული მიმართულების საქონელში კაბინის ტიპის საცხოვრებელი სისტემების მიხედვით

მიმდინარე წლებში მეცხოველეობის პროდუქციაში გაიზარდა ფოკუსირება ცხოველთა კეთილდღეობაზე. ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების სისტემები ევროპაში განვითარდა ძირითადად საცხოვრებელ სისტემებსა და მენეჯმენტზე ფოკუსირებით. ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების სისტემების გაუმჯობესება უნდა მოხდეს უფრო პირდაპირი ღონისძიებების გატარებით. შესაბამისად უნდა განვითარდეს ქცევის და ჯანმრთელობის მაჩვენებლები, რომლებიც ხელს შეუწყობს სისტემისა და მენეჯმენტის პარამეტრებს სრულყოფილი შეფასებების უზრუნველყოფაში.

შეფასების მეთოდის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ფერმერს გამოიყენოს ის, როგორც მენეჯმენტის საშუალება, კეთილდღეობის პროტოკოლში მიღწეულია საერთო მაჩვენებლების საშუალებით. ეს დაფუძნებულია კეთილდღეობის დამოუკიდებელი მაჩვენებლების შეფასებაზე, ზღვრული (მარგინალური) ინფორმაციის ღირებულებაზე და ფერმაში გამოყენებაზე.

მაგალითად, ავიღოთ კეთილდღეობის შეფასების პროტოკოლი თავისუფალი საცხოვრებელი სისტემებისთვის მერქეული მიმართულების საქონელში, რომელიც ეფუძნება 4 ინფორმაციულ წყაროს, ესენია: სისტემა, მენეჯმენტი, ცხოველთა ქცევა და ცხოველთა ჯანმრთელობა. ცხოველთა ქცევის მაჩვენებლები ეხება სოციალურ ქცევას, ადამიანისა და ცხოველის ურთიერთდამოკიდებულებას და წოლა/ფეხზე დგომის ქცევას. ჯანმრთელობის მაჩვენებლები ფოკუსირებას ახდენენ ცხოველთა ტკივილისა და დისკომფორტის გამომწვევ მიზეზებზე: სხეულის უკიდურესი მდგომარეობა, კანის დაზიანებები და მოშლილობა, ცურის დაზიანებები, სიკოჭლე, ჩლიქების დაზიანებები და სისტემური დაავადებები, რომლებიც ცუდად მოქმედებს ცხოველზე. ჩამოთვლილი მაჩვენებლები შეტანილ იქნა პროტოკოლში, რომლებიც შემდგომ გადამოწმდება 10 კომერციულ ფერმაში. საქონელი რეგულარულად შემოწმდება 1 წლის განმავლობაში. აღწერილი იქნება სისტემა და მენეჯმენტი და ქცევითი და ჯანმრთელობის მაჩვენებლები შეფასდება ცხოველების მაგალითზე. მაჩვენებლების შეფასებაში შევა სტატისტიკური ანალიზები, ექსპერტთა შეხედულებები და მონაწილე ფერმერთან ინტერვიუები.

ძირითადი სიტყვები: კეთილდღეობის შეფასება, კეთილდღეობის მაჩვენებლები, მერქეული მიმართულების ძროხები, თავისუფალი საცხოვრებელი სისტემები.

შესავალი

კომერციულ ფერმებში ცხოველთა კეთილდღეობაზე მზარდმა ფოკუსირებამ გაზარდა აგრეთვე მერქეული მიმართულების საქონელში თავისუფალი საცხოვრებელი სისტემების მიმართ ინტერესი. თავისუფალმა საცხოვრებელმა სისტემებმა გაზარდა ცხოველების მოძრაობის თავისუფლებაც ცხოველთა დასაბმელ სისტემებთან შედარებით და ცხოველებს მისცა ბუნებრივი ქცევების გამოხატვის შესაძლებლობა - სოციალური ქცევის ჩათვლით. საერთოდ, თავისუფალი საცხოვრებელი სისტემები შეიძლება მივიჩნიოთ უკეთესი კეთილდღეობის პოტენციალად, მაგრამ მიმდინარე მენეჯმენტზე

დამოკიდებულებაში. ამ მიზეზით კეთილდღეობის პრობლემები თავისუფალ საცხოვრებელ სისტემებში შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს დასაბმელი სისტემებისაგან. მოსალოდნელია პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ დაზიანებებთან, სოციალურ დაძაბულობასთან და მიმდინარე მენეჯმენტთან.

წარსულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საერთო ჯამში არსებობს დიდი ვარიაცია იმ საქონელში, რომელიც მიიჩნევა მართებულად ცხოველთა კეთილდღეობისთვის პროდუქტიული სისტემისა და მენეჯმენტის ურთიერთქმედებიდან გამომდინარე. შესაბამისად აუცილებლობას წარმოადგენს ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების მეთოდების ჩამოყალიბება. კეთილდღეობის შეფასების სისტემები კომერციულ ფერმებში გამოსაყენებლად შეიძლება განსხვავდებოდეს ცხოველთა კეთილდღეობის ორივე განსაზღვრებისა და შეფასების მიზნის მიხედვით. აქედან გამომდინარე მაჩვენებლებისა და გაზომვის მეთოდების არჩევანი ასახავს იმ ძირითად მიმართულებებს, თუ როგორ არის გაცნობიერებული ცხოველთა კეთილდღეობა. ამას გარდა, მოცემული შეფასების სისტემა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის მიზანი - სპეციფიკურ ფერმებში კეთილდღეობის დონის სერტიფიცირება ან კონტროლი, კეთილდღეობის შეფასება სხვადასხვა პროდუქტიულ სისტემებში, ან საკონსულტაციო საშუალების მნიშვნელობის მინიჭება, რომ დაეხმაროს ფერმერს თავის ფერმაში განსაზღვროს, გადაწყვიტოს ან შეაჩეროს კეთილდღეობასთან დაკავშირებული პრობლემები. კეთილდღეობის შეფასების სისტემების მაგალითებია “ცხოველებისთვის საჭირო საკითხების ინდექსი” (ANI) და (R.S.P.C.A.) “თავისუფალი საკვების სქემა”, რომლებიც ძირითადად ფოკუსირებას ახდენენ საცხოვრებელ სისტემებზე და მენეჯმენტზე. ANI სისტემა ეფუძნება 4 მნიშვნელოვან კომპონენტს (მოძრაობის შესაძლებლობა, სოციალური კონტაქტი, იატაკის მდგომარეობა, შენობის შიდა კლიმატი და ფერმერის მზრუნველობა) და შეიცავს საცხოვრებელი სისტემების შეფასებას. “თავისუფალი საკვების სქემა” ეფუძნება 5 საკითხს, რომლებიც ჩამოთვლილია FAWC-ს მიერ (1993) და ხაზს უსვამს ფერმაზე არსებული რესურსებისა და აღრიცხვების სტანდარტების სისტემატიკურ სურათს, მაგრამ არ შეიცავს ცხოველებისა და ფერმერთა პირდაპირ მაჩვენებლებს.

დანის სასოფლო სამეურნეო მეცნიერებების ინსტიტუტში შეიქმნა ცხოველთა კეთილდღეობის შეფასების პროტოტიპი, როგორც “მეცხოველეობის ეთიკური ანგარიშის” ნაწილი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ფერმერის გადაწყვეტილების მისაღები სისტემისთვის. ეს სისტემა აერთიანებს ცხოველთა ქცევასა და ჯანმრთელობას აღწერისა და მენეჯმენტის სისტემებთან და ეფუძნება სიმონსენის მიერ განსაზღვრულ ცხოველთა კეთილდღეობას, რომელიც ფოკუსირებას ახდენს ცხოველთა გამოცდილების პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებზე. რადგანაც ტერმინი ცხოველთა კეთილდღეობა ეფუძნება ცხოველთა მენტალურ გამოცდილებას, კეთილდღეობა კი არ უნდა გაიზომოს პირდაპირ, არამედ უნდა შეფასდეს არაპირდაპირ (ირიბად).

კეთილდღეობის შესაბამისი მაჩვენებლების შეფასება ამაჟამად უფრო და უფრო ანვითარებს ამ სახის შეფასების სისტემას. ამ დოკუმენტის მიზანია აღწეროს კეთილდღეობის მაჩვენებლის პროტოკოლი, რომელიც ძირითადად ფოკუსირებს ქცევით და ჯანმრთელობის მაჩვენებლებზე და განიხილოს პროტოკოლის განვითარებისა და შეფასების პროცედურა.

კეთილდღეობის მაჩვენებლის პროტოკოლის განვითარების პროცედურა

თუ ფერმერს სურს გააუმჯობესოს ცხოველთა კეთილდღეობა, მას სჭირდება შეფასების გარკვეული მეთოდი. მართებულმა შეფასების სისტემამ უნდა აღწეროს ცხოველთა კეთილდღეობა და საშუალება მისცეს ფერმერს დროთა განმავლობაში შეაფასოს მისი განვითარების საფეხურები და უპასუხოს მას შესაბამისად. კეთილდღეობის მაჩვენებელს, რომელიც შეესაბამება ოპერატიული შეფასების სისტემას, უნდა ჰქონდეს შემდეგი ხარისხები:

1. მეცნიერული განათლების ბაზისი და დროთა განმავლობაში განვითარების გამომხატვის უნარი.
2. რეალურ ჩარჩოებში კომერციული ფერმისთვის მისაღები.
3. ფერმერისთვის გადაწყვეტილების მისაღები სისტემის შესაბამისი. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კეთილდღეობის მაჩვენებლებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაცია პოტენციური პრობლემებისა და გაუარესების მიზეზების შესახებ.

ასეთი სახის პროტოკოლში კეთილდღეობის შესაბამისი მაჩვენებლების გაერთიანება მოიცავს სავარაუდო მაჩვენებლების შეფასებას ეტაპობრივად დამოუკიდებელი სახის კეთილდღეობასთან, ზღვრულ ღირებულებასთან და საბოლოოდ “ფერმაზე” სწავლებასთან დამოკიდებულებაში.

დამოუკიდებელი სახის კეთილდღეობის არსებობა

ბევრი მაჩვენებელი შეიძლება შეესაბამებოდეს ოპერატიული შეფასების სისტემას. ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს აქვთ თავიანთი წყაროები როგორც ცხოველთა კეთილდღეობის კვლევებთან ასევე ფერმერთა გამოცდილებასთან დაკავშირებით, დასკვნით მონაცემებთან მიმართებაში, რომლებშიც იგულისხმება ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა. თავიდან მაჩვენებლები აღწერილია დამოუკიდებელი სახის კეთილდღეობის ფორმით. იმ აზრზე დაყრდნობით, რომ კეთილდღეობა დაკავშირებულია ცხოველთა გრძნობებთან, მაჩვენებლების მართებულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ და რა მოცულობებშია გათვალისწინებული ცხოველისთვის ნეგატიური და პოზიტიური გამოცდილებები.

კეთილდღეობის შესახებ არსებული ინფორმაციის ზღვრული ღირებულება

ოპერატიული პროტოკოლის განვითარების შემდეგი საფეხურია ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შეფასება, რასაც უზრუნველყოფს ცალკეული მაჩვენებელი სხვა მაჩვენებლებთან კავშირში. რამოდენიმე მაჩვენებელს შეუძლია ერთმანეთი შეავსოს, აქედან გამომდინარე ზღვრული ღირებულება იქნება დაბალი. იბადება კითხვა: შეუძლიათ თუ არა ამ მაჩვენებლებს შეცვალონ ერთმანეთი შეფასების სისტემაში ან მათი კომბინაცია თუ გააძლიერებს შეფასების საფუძველს? როცა დადგინდება ერთმანეთის შემცვლელი, შეიძლება მაჩვენებლების რაოდენობა შემცირდეს და ძალიან უმნიშვნელო გავლენა მოახდინოს შეფასების სისტემაზე. სელექცია უპირველესად დამოკიდებულია უმაღლეს ზღვრულ (მარგინალურ) შესაბამისობაზე. მაჩვენებლების ურთიერთქმედების შემთხვევაში, რის გამოც ვერ განისაზღვრება მთავარი მაჩვენებლები, სელექცია უნდა ეფუძნებოდეს მაჩვენებლების ურთიერთშეჯახების ყველაზე საუკეთესო გზას.

“ფერმის ფარგლებში” სწავლების მართებულობა

ოპერატიული შეფასების პროტოკოლის განვითარების ბოლო საფეხურია სავარაუდო მაჩვენებლების მართებულობა ”ფერმის ფარგლებში” სწავლებისთვის. ამის შეფასება დაკავშირებულია დროსთან და ეკონომიურ ხარჯებთან რეგისტრაციებისა და ტესტირების ჩატარების დროს. მაჩვენებლის ამორჩევა დამოკიდებულია 3 ძირითად საკითხზე: თუ როგორი სახით არის მიღებული ინფორმაცია, თუ შეუძლიათ ვეტერინარებსა და მრჩეველებს მიიღონ დამატებითი კონსულტაციებისთვის ინფორმაცია, და თუ როგორ ჩატარდება დამოუკიდებელი რეგისტრაცია/ტესტირება. კეთილდღეობის ზოგიერთი მაჩვენებლის გაზომვა ითხოვს ხარჯების გარკვეულ დონეს, რაც არ არის რეალური. აქედან გამომდინარე რთული ექსპერიმენტული სქემები, აგრეთვე ძვირადღირებული ტესტები და ანალიზები არ შეიძლება იყოს განხორციელებადი. მაგ. ოპერატიული შეფასების სისტემაში შეუძლებელია შევიდეს ფიზიოლოგიური განზომილებები. შემდეგ უნდა შეფასდეს რეგისტრაციებისა და ტესტების სიზუსტე და თანაფარდობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან კარგად უნდა იყოს გათვალისწინებული რეგისტრაციებისა და ტესტების ხელახლა წარმოება (“დამკვირვებლის ვარიაციებს შორის”) და განმეორებადობა (“დამკვირვებლის ვარიაციებში”), იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ფერმის ფარგლებში სწავლების მართებულობა.

კეთილდღეობის მაჩვენებლების პროტოკოლი

დადგენილია, რომ ინდივიდუალური ფერმის კეთილდღეობის დონე უნდა შეფასდეს კეთილდღეობის მაჩვენებლების კომბინაციის მეშვეობით, რაც დაკავშირებულია პროდუქტიულ სისტემასთან, ცხოველთა მოშენების წესებთან, ცხოველთა ქცევებთან და ჯანმრთელობასთან. შემდეგ საკითხებში წარმოდგენილია მაჩვენებლები და უზრუნველყოფილია მათი გამოყენების ძირითადი მოტივაცია.

ქცევა

ქცევის შეფასება შედის ოპერატიული შეფასების სისტემაში და ქცევები, რომლებსაც ასრულებენ ცხოველები საცხოვრებელ სისტემებში შედარებულია ქცევის ნაცნობ მაგალითებთან (ქცევა აღწევს ფუნქციურ შედეგებს). ამ შემთხვევაში ქცევის შეფასებისა და ქცევის ტესტების საშუალებით გამოძღვანდება, თუ როგორ არიან ადაპტირებულნი ცხოველები პროდუქტიულ სისტემასთან ან თუ ამუღავნებენ დაძაბულობის ნიშნებს.

ფერმაზე სწავლების მოთხოვნა ხორციელდება ხელის მონიტორინგისა და ტესტირებით სახლის პირობებში. მაგრამ აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, თუ როგორ და როდის არის ჩატარებული შეფასებები და ტესტები, იმისათვის, რომ მივიღოთ შეფასების (გაზომვის) მეთოდის საუკეთესო შესაძლო სტანდარტიზაცია. ძალიან ყურადღებით უნდა იყოს გათვალისწინებული შესარჩევი მაგალითის (მოდელის) ზომა, იმისათვის, რომ ტესტირება ჩატარდეს წარმომადგენელი ცხოველის მაგალითს. სავარაუდო მაჩვენებლებია:

სოციალური ქცევა

როგორც მოგახსენეთ, თავისუფალი საცხოვრებელი სისტემები ცხოველს სოციალური ქცევის გამოხატვის საშუალებას აძლევს. ბუნებრივად გვხვდება აგრესიული ურთიერთქმედება, რაც დაკავშირებულია სოციალური კატეგორიების ჩამოყალიბებასთან დინამიურ ჯგუფებში. რესურსებისთვის კონკურენცია (საკვები, წყალი, დასასვენებელი ადგილი, ა.შ.), ისევე როგორც შეუსაბამო საცხოვრებელი დიზაინი სოციალური სტრესისა და აგრესიული ქცევის გამომწვევი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ამას გარდა, აგრესია შეიძლება იყოს საერთო სტრესის, დაუკმაყოფილებლობისა და ტკივილის ქცევითი სიმპტომი. სოციალური სტრესი და აგრესია შესაძლო შედეგებია. აგრესია, როგორც კეთილდღეობის შესაბამისი მაჩვენებელი, შეიცავს იმ ცხოველებს, რომლებიც მეთვალყურეობის ქვეშ არიან, რაიმე ფიზიკური ტრამვა აქვთ მიყენებული ან რესურსების სერიოზული ნაკლებობა აქვთ. როგორც საერთო დაძაბულობის შედეგი, აგრესიები აგრეთვე მიგვითითებენ კეთილდღეობის პრობლემაზე აგრესიულ ცხოველებში.

ადამიანთა და ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულება

აქ ჩამოთვლილია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანთა და ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულებაზე: წინასწარი გენეტიკური განსაზღვრა და საცხოვრებელი პირობები, გამოცდილება, ხარისხი, ადამიანებთან კონტაქტების რაოდენობა და მანიპულაციური პროცედურები. ადამიანებთან პერიოდული არასასიამოვნო ურთიერთობის შედეგად დაშინებული ცხოველები განსაზღვრავენ ცხოველთა კეთილდღეობის საკითხს. ამას გარდა, დაშინებული ცხოველები ხშირ შემთხვევაში ამჟღავნებენ ზიზღს, იმიტომ რომ ისინი არაადეკვატურად რეაგირებენ მანიპულაციურ პროცედურებზე. შედეგი შეიძლება იყოს ხანგრძლივი, გართულებული ურთიერთდამოკიდებულება ადამიანთა და ცხოველთა შორის.

ქცევის ტესტი მოსაწველ ოთახში

თავისუფალ საცხოვრებელ სისტემებში წველა ხდება იმ ძროხებში, რომლებიც გროვებიან გარკვეულ ადგილზე და ელოდებიან ინდივიდუალურ მოწველას მოსაწველ ტერიტორიაზე. წველა ძირითადად ტექნიკური პროცედურაა ნაკლები ფიზიკური კონტაქტით მწველავთან, რომელიც ჩვეულებრივ მოთავსებულია “საწველ ორმოში”. იმ შემთხვევაში, თუ ცხოველში უსიამოვნო გრძნობას იწვევს წველა, არა აქვს მნიშვნელობა, ეს გამოწვეულია მწველავის შიშით თუ წველის ტექნიკური პროცედურის უსიამოვნო შეგრძნებით, ეს უკვე მნიშვნელოვანი პრობლემაა კეთილდღეობის თვალსაზრისით, რადგან წველა წარმოადგენს ყოველდღიურ რუტინას.

ადგომისა და დაწოლის ქცევა

“ადგომა” და “დაწოლა” ძროხებში ძალიან ხშირი ფიზიკური მოქმედებაა. არასწორი ადგომისა და დაწოლის ქცევა (გამომეტყველებისა და დროის ფაქტორების გათვალისწინებით) დაკავშირებულია ძროხების დისკომფორტთან და ტრამვის მიღების რისკთან. ძროხები, რომლებიც ისვენებენ ნებისმიერ ადგილას კაბინის გარდა და ძროხები, რომლებიც წვანან კაბინებში არასწორად, მიგვითითებენ იმაზე, რომ კაბინები არაკომფორტაბელურია მათთვის. აქ შეიძლება შეიქმნას კეთილდღეობის პრობლემა კაბინური ტიპის სადგომებთან

დაკავშირებით მშენებლობისა და ქვეშაგები მასალის თვალსაზრისით. ამას გარდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იატაკის ტიპს, რადგანაც თუ იატაკი ცურავს, ადგომის დროს ძროხამ შეიძლება სერიოზული ტრამვა მიიღოს, ეს ზრდის ტრამპების რისკსაც და აგრეთვე ზღუდავს საქონელს ქცევის გამოხატვაში.

ჯანმრთელობა

დაავადება შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად, რადგანაც ბევრ შემთხვევაში ის უკავშირდება ნეგატიურ მოვლენებს, როგორცაა, ტკივილი, დისკომფორტი ან სულიერი დაძაბულობა. მძიმე დაავადების პროცესი, რომელსაც მოსდევს ხანგრძლივი ქრონიკული ტკივილის პროგრესული მდგომარეობა, იწვევს ორგანიზმის ფუნქციის მოშლილობას, რომელიც ძალიან დიდ გავლენას ახდენს კეთილდღეობაზე. კეთილდღეობის შეფასებაში ფერმის დონეზე ერთი მაჩვენებელი შეიძლება იყოს მეტად გავრცელებული და ინტენსიური ჯანმრთელობის პრობლემებში. მაგალითად ეს შეიძლება შეფასდეს კლინიკური კვლევის საფუძველზე. დასაშვებია შემდგომი კრიტიკული შემთხვევებიც (მაგ. წუნდებული საქონლის ისტორია), რომლებიც შექმნილია მონაცემების ფაილებიდან ან მფლობელთა ინტერვიუებიდან. ჯანმრთელობის მაჩვენებლები ჩამოთვლილია №1 ცხრილში:

№1 ცხრილი. კეთილდღეობის შეფასების პროტოკოლში შესული ჯანმრთელობის მაჩვენებლები მერძეული მომართულების საქონელში

სხეულის ნაწილი	კლინიკური პარამეტრები	კეთილდღეობის საკითხები
საერთო გარეგნობა	სხეულის აგებულების აღმნიშვნელი ქულა	სხეულის მწირმა აგებულებამ შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი დისკომფორტი და დაავადების მიმართ მგრძობელობის გაზრდა, რაც გამოწვეულია იმუნური შესაძლებლობების შემცირებით. ეს მიუთითებს ნივთიერებათა ცვლის მოშლილობაზე, სუბ-ოპტიმალურ მენეჯმენტზე ან ქრონიკულ სირთულეებზე.
კანი	კანის პარაზიტები კანის ინფექციები წნევით გამოწვეული სისუსტე	ქავილის გამომწვევი კანის დაავადებები, რომელთა შედეგია ხანგრძლივი დისკომფორტი და მეორადი ქსოვილის თვითდაზიანების რისკი, მაგ. კერტებზე. კანის დაზიანებები და ინფექციები იწვევს ძლიერ და ქრონიკულ ტკივილს. საჭიროა საცხოვრებელი სისტემის, მენეჯმენტის ან დაავადების წარმომშობი მიზეზის შესახებ სრული ინფორმაციის უზრუნველყოფა.
ფეხები	სიკოტლე ჩლიქების მოვლა	სიკოტლე მიუთითებს ფეხის მძიმე მდგომარეობაზე, გავლენას ახდენს თავისუფალ გადაადგილებაზე და ქცევების გამომჟღავნებაზე. ზედმეტად გაზრდილი ან დეფორმირებული ჩლიქები იწვევს ფეხების ტკივილსა და დისკომფორტს. ფეხის აგებულებაში შესაძლო ცვლილებებმა შეიძლება განავითაროს სახსრების ქრონიკული დაავადებები.

ცური	კერტების დაზიანება კლინიკური მასტიტი	კერტების ქსოვილის დაზიანება იწვევს ძლიერ და ქრონიკულ ტკივილს, რომელიც შეიძლება გაუარესდეს ყოველდღიური წველის პროცესით. ხშირ შემთხვევებში თავს იჩენს კლინიკური მასტიტი, რაც იწვევს ტკივილსა და დისკომფორტს.
სისტემური დაავადებები	საერთო მდგომარეობა კლინიკური დაავადებები	კლინიკური დაავადებები ტიპურად მიმდინარეობს ტკივილისა და დისკომფორტის თანხლებით. კეთილდღეობის შედეგები განსხვავდება დაავადების მდგომარეობის ინტენსიურობისა და ხანგრძლივობის მიხედვით და აგრეთვე, თუ როგორ მოქმედებს ეს საერთო მდგომარეობაზე.
სიკვდილიანობა	წუნდებული ისტორია ცხოველების	ინფორმაცია მიუთითებს სპეციფიურ პრობლემატურ ადგილებზე ცხოველებში და უზრუნველყოფს დეტალურ მონაცემებს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

სისტემა და მენეჯმენტი

საფერმო ცხოველთა კეთილდღეობაზე თვითონ პროდუქტიული სისტემა ახდენს ზეგავლენას და აგრეთვე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, თუ როგორ უდგება ფერმერი ამ სისტემას. თუ როგორ ითვალისწინებს ან ზღუდავს პროდუქტიული სისტემა და მენეჯმენტი ცხოველების ფსიქოლოგიურ ან ქცევით საჭიროებებს და ეს ყველაფერი რა ზეგავლენას ახდენს ცხოველთა ჯანმრთელობაზე – აი, ამაში მდგომარეობს კეთილდღეობის საკითხი. სწავლება იმის შესახებ, თუ რა ზემოქმედებას ახდენს სისტემა და მენეჯმენტი ცხოველებზე შედის კეთილდღეობის შეფასების სისტემაში და უზრუნველყოფს კეთილდღეობის პრობლემების გამომწვევი მიზეზების შესახებ ინფორმაციას.

ნებისმიერ სტრატეგიას, რომელიც მოითხოვს სისტემისა და მენეჯმენტის რუტინის აღრიცხვას ექნება გარკვეული ლიმიტები და შეცდომები. პირველი, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტულ პირობებში შესწავლილია ამ მაჩვენებლების სხვადასხვა ასპექტები, ბოლომდე მაინც არ არის გათვითცნობიერებული ბევრი უმნიშვნელო დამახასიათებელი დეტალის ზეგავლენა კეთილდღეობაზე სხვადასხვა სახის საცხოვრებელ სისტემებში. ამას გარდა, სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთქმედება ამჟამად ძალიან მწირად არის გათვითცნობიერებული. ზღვრული ინფორმაციის ღირებულება ტიპურად დაბალია, ამიტომ საჭიროა სტრატეგიის დასახვა, რომელიც პირდაპირ მოახდენს ფოკუსირებას მეცხოველეობაზე. პრაქტიკაში აუცილებელი იქნება ფოკუსირება მთავარი შეფასებების (განზომილებების) ლიმიტირებულ რაოდენობაზე. სისტემის უმეტესი მაჩვენებლისა და ზოგიერთი მენეჯმენტის მაჩვენებლის განსაზღვრა და გაზომვა შედარებით უფრო ადვილია, რამდენადაც ბევრი, კერძოდ მენეჯმენტის მაჩვენებლის შეფასება რთულია, მაგრამ მიუხედავად ამისა სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს კეთილდღეობაზე. (შეფასების) გაზომვის მისაღები მეთოდებია კვლევითი საცხოვრებელი სისტემა და საცხოვრებელი აღჭურვილობა, ასევე ინტერვიუები ფერმერთან. სისტემისა და მენეჯმენტის მაჩვენებლები ჩამოთვლილია ქვემოთ:

სისტემა

კუბური სადგომები გამოიყენება როგორც დასასვენებელ, ასევე სოციალურად დაცულ ტერიტორიაზე. ძროხებს აქვთ შედარებით დიდი და მუდმივი აუცილებლობა დასვენებისთვის. თავისუფალი სახის კაბინებში, ძროხების ქცევაზე და ჯანმრთელობაზე პირველ რიგში გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: კაბინების მოცულობა და ზედაპირი, საცხოვრებელ სისტემაში კაბინების ფიზიკური მდებარეობა და მათი დაყოფა. არასწორად გაზომილმა ფიქსაციამ შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური ტრამეები.

თავისუფალ საცხოვრებელ სისტემებში არსებულ გასასვლელებს (პასაჟებს) ცხოველები იყენებენ მოძრაობისთვის (მოსაწველი ოთახიდან საძოვრებამდე და პირიქით) და ვარჯიშისთვის, ასევე ისინი გამოიყენება ადამიანების მიერ კაბინების მოვლის და ცხოველებთან კონტაქტის მიზნით. მეტსი & ვიერენგას მიხედვით შემდეგი გარემოებები იწვევენ კეთილდღეობის პრობლემებს:

- მცირე ფიზიკური და ფსიქოლოგიური სივრცე, რომელიც მოიცავს გასასვლელების (პასაჟების) სიგანეს და გადაბეჭვითი პასაჟების ნაკლებობას.
- იატაკის ტიპი და ზედაპირი, რომელიც წარმოადგენს კომპრომისს ჰიგიენის მოთხოვნებს შორის, ასევე მისი გამძლეობა, იატაკის გავლენა ძროხის მოძრაობის კომფორტზე და ფიზიკური ტრამეებისა და ჩლიქების დაავადებების რისკი.

შესაგროვებელი ტერიტორია და მოსაწველი ოთახი ზეგავლენას ახდენს ცხოველთა კეთილდღეობაზე: როგორ მიყავთ ძროხები მოსაწველ ოთახში, შესაგროვებელ ადგილზე დარჩენის ხანგრძლივობა, ასევე სიმჭიდროვე, იატაკის მასალა, ზედაპირისა და დაქანების თვალსაზრისით, შესაგროვებელი ადგილისა და პასაჟის მოცულობა და დიზაინი. საცხოვრებელი სისტემის ჰიგიენაზე გავლენას ახდენს ის ფაქტორი, თუ როგორი სახის არის შესაგროვებელი ადგილი – ცხოველის სადგომის სახის თუ ნაწილობრივ მისი მსგავსი.

საკვები საშუალებების დიზაინმა და მათი საცხოვრებელ სისტემებში დაბინავების საკითხმა შეიძლება გავლენა მოახდინოს კვებაზე, სოციალურ ქცევაზე და გამოიწვიოს ფიზიკური ტრამეები. იგივე შეიძლება ითქვას სასმელზე. სასმელის ჰიგიენამ და ადგილმდებარეობამ შეიძლება გავლენა იქონიოს წყლის მიღებაზე, საცხოვრებელ სისტემაში მოძრაობაზე და სოციალურ ქცევაზე.

მენეჯმენტი

მენეჯმენტის მიზანია მოვლა-მზრუნველობის და ყურადღების ხარისხისა და რაოდენობის უზრუნველყოფა, რომ შეიქმნას მდგრადი კეთილდღეობა. აუცილებელია საქონლის სადგომების შესაბამისი და ეფექტური დიზაინი, აღჭურვილობა, ინსპექტირება და მართვის წესები, რომ მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ საქონლის მოშენების საუკეთესო შედეგები. მენეჯმენტის ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კეთილდღეობაზე, შეიძლება იყოს პირველი - მოშენების სიმჭიდროვე, რაც ითვალისწინებს კვებას, სასმელ და დასასვენებელ შესაძლებლობებს, საქონლის ქვეშაგების მასალის რაოდენობასა და ხარისხს და მეორე - დაავადების/სამშობიარო კალმების გამოყენება. ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს მიკრობების ზრდა

დაბინძურებულ და ნესტიან ქვეშაგებზე, ან კიდევ თუ ძროხები იძულებულნი არიან დაწინდნ დაღარულ იატაკზე მაღალი სიმჭიდროვის გამო. ამას გარდა, კვების მეთოდი (შეზღუდული ან თავისუფალი) და საკვების ხარისხი გავლენას ახდენს ცხოველთა კეთილდღეობის სტატუსზე. მშობიარობის ციკლმა და სხვადასხვა მოვლენების ყოველწლიურმა ვარიაციამ ფერმებში შეიძლება გამოიწვიოს მაქსიმალური დატვირთვა, რაც გაართულებს საცხოვრებელ პირობებს და მოვლა-მზრუნველობას. კეთილდღეობის სტატუსზე მოქმედებს აგრეთვე საძოვრებზე ძოვების სეზონის ხანგრძლივობა, მორწყვა, თავშესაფრის და ჩრდილის არსებობა, პასაჟების ხარისხი და მანძილი სადგომიდან და სადგომამდე.

კეთილდღეობის საზომი სისტემის შეფასება, როგორც გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი საშუალება

კეთილდღეობის საზომი პროტოკოლი ფასდება 12 თვიანი აღრიცხვების საფუძველზე, რომლებიც აღებულია 10 შესადარებელი თავისუფალი კაბინის ტიპის საცხოვრებელი სისტემიდან. მთელი საქონელი დახასიათებულია დასასვენებელი ადგილების მიხედვით. საკვები თავსდება ფურაჟისთვის განკუთვნილ სპეციალურ დაფაზე იზოლირებულ ადგილას, ხოლო წველა ხდება საწველ ტერიტორიაზე.

კეთილდღეობის შეფასების სისტემა ასრულებს თავის მიზანს და ფერმერს საშუალებას აძლევს დროთა განმავლობაში შეაფასოს მოვლენების განვითარება და გამოავლინოს შესაბამისი რეაქცია. კეთილდღეობის საზომი სისტემის მოცულობის შეფასება ხდება 3 სხვადასხვანაირი მიდგომით:

ყოველწლიური ინდივიდუალური მოხსენება ვითარდება ბონდის მიხედვით (2000). პრობლემატური ადგილები აღნიშნული უნდა იყოს საკმარისი დეტალური ინფორმაციით, იმისათვის, რომ შეასრულოს გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი საშუალების ფუნქცია კეთილდღეობის შესახებ არსებულ განხილვებში ფერმის ფარგლებში, რაც ფერმერებს შესაბამისად მოქმედების საშუალებას მისცემს. მოხსენება შეიცავს 3 ნაწილს: საერთო მიმოხილვა, დოკუმენტაცია და შეფასება. საერთო მიმოხილვა მოიცავს ცხოველთა კეთილდღეობის ინტერვენციისთვის პრიორიტეტების დადგენას ფერმის ფარგლებში. დოკუმენტაცია ემსახურება ცხოველთა კეთილდღეობის დასკვნების დაკავშირებას ზუსტ რეგისტრაციებთან ფერმის ფარგლებში და შეფასებების დადასტურებას. ეს მოხსენებები წარედგინება ფერმერებს და განიხილება გაუმჯობესების შესაძლებლობები. ამის შემდეგ სისტემატური ინტერვიუები შედგება ამ საქმეში ჩართულ 10 ფერმერთან. ფერმერები ინტერვიუების საშუალებით გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებს ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ და აღნიშნავენ პროექტში მონაწილეობით მიღებულ გამოცდილებას. ისინი აგრეთვე გამოიკითხებიან იმის შესახებ, თუ რას ელიან მომავალში ამ ტიპის (გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერი) საშუალებებისგან.

ამას გარდა, 10 საქონლიდან აღებულ მონაცემებს უკეთდება ანალიზი, იმისათვის, რომ მოხდეს მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა. მაჩვენებლებს შორის სხვადასხვა წყაროებიდან არსებული კავშირი (ჯანმრთელობა, ქცევა, სისტემის აღწერა და მენეჯმენტი) გამოყენებულია კეთილდღეობის მაჩვენებლების რატიფიკაციისთვის, ასევე ერთიანი პროტოკოლისთვის.

ჩამოყალიბდა ცხოველთა კეთილდღეობის ექსპერტთა ჯგუფი, იმისათვის, რომ ანალიზი გაუკეთდეს კეთილდღეობის შეფასების შესახებ არსებული მოხსენების მონახაზს. ჯგუფის წევრები გამოთქვამენ თავიანთ აზრს ცხოველთა კეთილდღეობაზე 10 საქონლიდან აღებული მონაცემების მაგალითზე. ექსპერტებს მისცემენ სხვადასხვა დონის ინფორმაციას მოხსენებებიდან, იმისათვის, რომ შეისწავლონ სხვადასხვა სახის მაჩვენებლების შედარებითი ზემოქმედება, საბოლოოდ კი ისინი გამოთქვამენ თავიანთ აზრს კეთილდღეობის შეფასების სისტემის შესახებ.

ამ გზით ჩვენ იმედი გვაქვს, რომ წინ წამოვწევთ კეთილდღეობის შეფასების მეთოდს, რომელიც ეფუძნება რეალურ ფარგლებში არსებულ საიმედო და ძლიერ მაჩვენებლებს კომერციულ ფერმებში.